დმანისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება

ბრძანება:**ბ108. 108242265**

თარიღი:**13/08/2024**

მუნიციპალური სოციალური სერვისების გავლენის შეფასების კითხვარის ფორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და დმანისის მუნიციპალიტეტს შორის 2023 წლის მარტში გაფორმებული N003 ურთიერთგაგების მემორანდუმის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს:

ა) „დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტისა საკრებულოს 2023 წლის 28 ნოემბრის Nგ-109.109233321 განკარგულებით დამტკიცებული:

ა.ა) ,,ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის, დღის ცენტრის და ადრეული განვითარების ცენტრში რეგისტრირებული 0-18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვებისთვის განკუთვნილი ყოველთვიური სოციალური დახმარების ქვეპროგრამის“ შეფასების ფორმა დანართი N1-ის შესაბამისად;

ა.ბ) ,,მოქალაქეთა მედიკამენტებით და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის 2024 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამის“ შეფასების ფორმა დანართი N2-ის შესაბამისად;

ა.გ) ,,ქალთა სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამა მათთვის დასაქმებისა და სამეწარმეო უნარების და გენდერულ საკითხებზე ცნობიერების გაზრდის გზით“ ქვეპროგრამის შეფასების ფორმა დანართი N3-ის შესაბამისად.

ბ) ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ფორმებით მიღებული მონაცემთა რეესტრის ფორმა დანართი N4-ის შესაბამისად.

2. დაევალოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურის პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს საქმისწარმოების საკითხებში ირმა ციხელაშვილს და ამავე სამსახურში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს - სპეციალისტს საინფორმაციო მომსახურებისა და საქმისწარმოების საკითხებში - კავკაზ მაჯიდოვს, ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ფორმების შევსება შესთავაზონ ყოველ მესამე ბენეფიციარს პროგრამით სარგებლობის დასრულების შემდგომ.

3. დაევალოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურს, ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ფორმის მიხედვით, მონაცემთა რეესტრის წარმოება და ერთიანი მუნიციპალური სოციალური სერვისების გავლენის შეფასების ანგარიშის წარმოდგენა დმანისის მუნიციპალიტეტის მერისათვის, არაუგვიანეს 2024 წლის 31 დეკემბრისა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში. (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. N113), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კობა მურადაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი